

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1956 წლის 24 აგვისტოს ქ. ზუგდიდში. 1973 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 62-ე საშ. სკოლა. 1979 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით მუშაობას ვიწყებ ენგურჰესის მშენებლობაზე, სადაც ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობებზე.

1982-1990 წლებში ვმუშაობდი ალკვ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, განყოფილების გამგის მოადგილედ და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სოციალურ ეკონომიკური განყოფილების ინსტრუქტორად.

1990 წლიდან 1999 წლამდე დაკავებული ვიყავი ბიზნეს საქმიანობით. ვმუშაობდი სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტის ხელმძღვანელად.

1999 წელს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების საფუძველზე, 1999-2005 წლებში ვმუშაობდი ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ. 2005-2009 წლებში, სამოსამართლეო უფლებამოსილების ამოწურვამდე ვიყავი რეზერვის მოსამართლე.

2009 წლიდან დღემდე ვარ იურიდიული კომპანია - „დავით თოდრაძე და პარტნიორების“ დირექტორი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. 2012 წლიდან ვარ პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ვიყავი კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წალენჯიხის საარჩევნო ოლქში. 2013 წელს ვხელმძღვანელობდი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბს ამავე ოლქში.

ვარ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი. ჩემი სადოქტორო ნაშრომის თემაა - „საპროცესო შეთანხმება და გამარტივებული საქმისწარმოების ალტერნატიული ფორმები სისხლის სამართლის პროცესში“.

მყავს მეუღლე, ნინო მაჭავარიანი - პროფესიით ფილოლოგი, მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

მყავს ვაჟი, გიორგი ნაჭყებია - კავკასიის ბიზნეს სკოლის კურსდამთავრებული. დაკავებულია სარეკლამო ბიზნეს საქმიანობით.

მყავს ქალიშვილი, ანი ნაჭყებია - პროფესიით არქიტექტორი, მუშაობს გენერალური მენეჯერის პოზიციაზე „კლინიკა „ქალი და ჯანმრთელობა“-ში.